


საქართველო

ქრონული თავისუფლების ზნით - ქრონული თავისუფლებისათვის
 ქრონული თავისუფლების ზნით - ქრონული თავისუფლებისათვის



საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
 გამომდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№58 (1496)

11-14 ნოემბერი, 1996 წელი

ვინ იყო ვინ? ჯუმაბერ კახიაშვილი

მასალაში საქართველოს ისტორიის
 მთმაჯალი მემკვიდრისათვის

19 შეკითხვა გატონ ჯუმაბერ კახიაშვილს

ფაქტია თუ მითი ის, რომ
 თქვენ 9 აპრილის ღამეს ცდი-
 ლობდით მომიტინგეებთან გას-
 ვლას და ეს არ დაგანებეს, რომ
 შემოგახიეს პიჯაკიც კი. თუ მარ-
 თალია, რას ნიშნავს, რატომ
 გააკეთეს და ვინ გააკეთა ეს,
 რა მოტივით. თუ ტყუილია, მა-
 შინ რა ხდებოდა სინამდვილე-
 ში შიგნით, თქვენს კაბინეტში?



**ავთანდილ
 მარგინანი:**

**„ლორეპის“
 შეპოსპვისა
 გეგინია**

გვ-3 გვ.

ვაშა, მთავრობავ...

თბილისის ქუჩებში მაწანწალა, ცდუნანი ძაღლებით აიუ-
 სდ, დასაც მდგომარეობა მდგომარეობა (მათ შორის მთავრ-
 თა) დატოვა, მაგტამ ჩუნი მესერეტი უმბიძის სწინით და-
 უადრეული მცურებლის თაუიდან მდცილუმისაგან თაუს იჯაუ-
 მენ, უინაიდან ეს სადცილი, თქმე, ანაპუმანური.

ვაშა, მთავრობავ,
 მთელი თბილისი
 ცოფიან ძაღლთა ხროვით აივსო,
 მაგრამ სიცოცხლე რომ ხელგყოთ მათი,
 ღვთისგან არა გვაქვს ნება ამისო!
 სხვა რა გიწოდოთ?!

ცბიერები ხართ
 და სიტყვაც მიტომ მოგდგამთ ცბიერი,
 ყოველ მიტინგზე კაენს რომ ბაძავთ,
 მოსწონს ღმერთს, ვითომ, ეს საქციელი?
 მიწერებოდი ტელეკრანს და
 ბოლმისგან ღამის თვალნი დამეფსო...
 ჭირიმე მისი, ვინც სულ პირველად
 თქვა: „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახეფსო“!

მათე მართლიმთხველაშვილი

**პირთხაბის
 და
 ძაღლების
 ძალაქი ანუ
 აბაპი
 იბისა, ვინც
 კბენას
 გადაურჩა**

გვ-3 გვ.

საუბიუბი, საუბიუბი, საუბიუბი სიტყვა ოპოზიციია

სსრკ-ში შიშის ბატონი ჯუმბერ პატიშვილი

ბატონო ჯუმბერ, თქვენს გეგმაში არის მოთხოვნა პარტიული ცენტრის

1989 წლის 9 აპრილს თბილისის ქუჩებში გაიკრა ხელნაწერი მონოდეტი „გადადგეს პარტიული“... სოციალური სისტემის მქონე პარტიული და სხვა მსგავსი შინაარსის ფურცლები. მას შემდეგ გადის ხელ რაღაც სამიოდე წელიწადი და თქვენ ხდებით დეპუტატი ანუ ხალხის რჩეული, ხოლო 6 წლის შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებში რეალური კანდიდატი პრეზიდენტობისა. პარტიული იღებს უამრავი ამომრჩევლის ხმას, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ 1989 წლის შემდეგ საზოგადოებრივ აზარზე ფაქტობრივად განრიდებული იყავით და მაინცდამაინც არც დეპუტატობის დროს აქტიურობდით. ამ ფაქტს მრავალი ფსიქოლოგიური საფუძველი შეიძლება ჰქონდეს, რომლის ახსნა ცალკე ნერილის ითხოვს. ახსნა-განმარტების გარეშე კი ერთი რამ იკვეთება - ჯუმბერ პარტიული აშკარად საზოგადოების მუდმივი ყურადღების ქვეშ მყოფი კაცია. მნიშვნელოვანია მისი ხანგრძლივი მრავალმნიშვნელოვანი დუმილიც კი, მაგრამ იჭენეული გონება იმასაც ფიქრობს - პარტიული ან არაფერი აქვს სათქმელი იმის გარდა, რაც საზოგადოებამ იცის, ან ალიანსშია თავის ყოფილ პარტიულ ამხანაგებთან ან ოჯახის განადგურების გასაგები შიშის გამო შეგნებულად მალავს ბევრ რამეს.

ჩვენს რუბრიკაში „ვინ იყო ვინ?“ „მხალხები საქართველოს ისტორიის მომავალი მემკვიდრისათვის“ მონაწილეობა მიიღეს თენგიზ სიგუამ, თენგიზ კიტოვანმა, ვახტანგ გოგუაძემ, საზოგადოებას მოსწონდა თუ არ მოსწონდა მათი პასუხები, ფაქტი ერთია, ისინი არ გაექცნენ ყველაზე მწვავე კითხვებსაც კი. მით უფრო კაცი, რომელიც იყო და დღესაც პრეტენზია აქვს საქართველოს პირველობაზე, ვალდებულია უპასუხოს იმას, რაც მისგან საზოგადოებას აინტერესებს.

მაშას, რედაქცია სვამს შემდეგ კითხვებს (შეგადაშიგ ეს კითხვები, ალბათ, შეივსება მკითხველთა ბარათებითაც):

1 ბავშვანმეობით თუ არა იმაში, რომ საბჭოთა სისტემაში პარტიული ბილეთიდან დაწყებული დიდი თანამდებობებით დამთავრებული ყველაფრის ყიდვა ხდებოდა ფულით ანუ როგორც კანონიერი ქურდი იწყებს თავის ბიოგრაფიას, ვთქვათ, ჯიბის ქურდობით, ისე პარტიული მუშაკი იწყებდა აღმასვლას წილში ყოფნით ანუ მექრთამეობით. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ყოფილი დიდი პარტიული ხელმძღვანელები ყოფილი დიდი მექრთამეები არიან და რომ იმ სისტემიდან ამ სისტემას ისინი ყველაზე უკეთ მოერგნენ. რასაც აქ ვწერთ, საიდუმლო არ არის, მაგრამ საინტერესოა, როგორ დაახასიათებს ამ ასპექტში მექრთამეობას, როგორც ცხოვრების წესს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი. ამასთან ისიც გვსმენია, რომ მამათქვენი, როგორც პარტიოსანი მუშაკი, ამ სისტემას ემსხვერპლა. იქნებ მის შესახებაც მოგვითხროთ და პირადად თქვენს აღმასვლაზეც კომკავშირის ცეკას პირველი მდივანიდან რესპუბლიკის ხელმძღვანელობამდე.

2 რას იტყვით საკავშირო გამოცემების იმ ბრალდებაზე, თითქოს თქვენს დანიშნვაში ცეკას პირველ მდივანად კანონიერ ქურდებსაც ჰქონდათ წვლილი? თითქოს თქვენ ქურდების დიდი ნაწილი საქართველოდან კანონიერი ქურდების პატარა ნაწილის შეკვეთით გააძევეთ? თუ უარყოფთ ამ ფაქტს, იქნებ ის აგვისხნათ, ასეთი ბრალდება საიდან და რატომ მოდის?

3 როგორ იცნობდით, როგორი ურთიერთობა გქონდათ ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან, აქვს თუ არა წვლილი თქვენი კარიერის აღმასვლაში და როდის, რის გამო გაიზარა თქვენი ურთიერთობა? ამბობენ, რომ გორბაჩოვთან თქვენ დაახლოვებით შევარდნაძე, თქვენ ალბათ ზუსტად იცით, როგორ მოხვდა საქართველოს ცეკას პირველი მდივანი სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის სავარძელში. ეს ხომ მაშინ სენსაცია იყო.

4 ამბობენ, რომ არ დაგეჭირათ ხაბეიშვილი, იმავე დამეს დაგეჭირდნენ თქვენ და ცეკას I მდივანი ის გახდებოდა. გეყოფათ თუ არა გამბედაობა, გვიამბოთ ამ საქმის პერიპეტეების შესახებ?

5 ხაბეიშვილის სასამართლო პროცესი აშკარად დადგმული ჩანდა, იყო თუ არა ეს შევარდნაძისათვის თქვენგან ხელთათმანის სროლა და თუ იყო, იმუამად ამ გაბედულ ნაბიჯს გორბაჩოვის ზურგით ხომ არ დაგამდიდით?

6 კომუნისტური წყობის დროს შეიქმნა „მხედრონი“, რომელიც იმთავითვე იარაღდებოდა. არადა, იმ დროში ჯაყვის ტარებისთვისაც კი ციხეში უკრავდნენ კაცს თავს. როგორ მოხდა „მხედრონის“ შექმნა, რა ჩანაფიქრი გქონდათ, ხომ შეუძლებელია სახელმწიფო სტრუქტურების ჩუმი ნებართვის გარეშე იმუამად შეიარაღებული ფორმირება შექმნილიყო?

7 ჩვენი ძალისხმევით მიუხედავად, ვერ მოვიპოვეთ 1989 წლის 8 აპრილის აქტივის კრების ოქმი ან სტენოგრამა. ეს ის კრებაა, სადაც მოითხოვეს მიტინგის დაშლა. გთხოვთ გაიხსენოთ ამ კრების შესახებ, მოგიწოდებდნენ თუ არა ცნობილი ადამიანები „ექსტრემისტების“ მიტინგის ძალით აღკვეთას?

8 პირადად ჩემთვის უტყუარად ცნობილია შემდეგი: 1989 წლის 9 აპრილს ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა გააფრთხილა (კართან წერილი დაუტოვა) თავისი ახლობელი - „ამალამ მიტინგზე ნუ მიხვალ, დაგარბევს“ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მომიტინგეთა დარბევის შესახებ გადაწყვეტილება თანამდებობის პირებმა რამდენიმე საათით ადრე მაინც იცოდნენ, და თუ იცოდნენ, რატომ მოხდა მათი გაფრთხილება მხოლოდ ხუთი წუთით ადრე?

9 შაბტის თუ მითი ის, რომ თქვენ 9 აპრილის დამეს ცდილობდით მომიტინგეებთან გასვლას და ეს არ დაგანებეს, რომ შემოგახიეს პიჯაკიც კი. თუ მართალია, რას ნიშნავს, რატომ გააკეთეს და ვინ გააკეთა ეს, რა მოტივით. თუ ტყუილია, მაშინ რა ხდებოდა სინამდვილეში შიგნით, თქვენს კაბინეტში?

10 რომელი იყო როლი ნიკოლასისა და ნუგზარ ფოფხაძისა 9 აპრილის მოვლენებში, ასევე გივი გუმბარაძის. თქვენ იყავით ერთი გუნდი თუ ადგილი ჰქონდა შეთქმულებას თქვენს წინააღმდეგ? იმთავითვე ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ 9 აპრილი მოეწყო პარტიული მოსაცილებლად და რომ შევარდნაძემ მწარედ გაზღვევინათ 9 აპრილით. იყო მეორე ვერსია: 9 აპრილით თქვენ გსურდათ „არაფორმალუბის“ მოცილება. მოკლედ, ეს მოვლენები თქვენგან მოითხოვს პირუთენელი სიმართლის თქმას, ნახევარსიმართლის თქმას მაინც...

11 ვინაშენ მოდიოდა ბრძანება მიტინგის დარბევის შესახებ. იყო თუ არა წინასწარ ბატონი ე. შევარდნაძე საქმის კურსში. მართალია თუ არა ლეგენდი, რომელიც წერდა, რომ 8 აპრილს თბილისის აეროპორტში ჩამომდგარ თვითმფრინავში იჯდა ე. შევარდნაძე?

12 რას იტყვით იმ დეპეშების შესახებ, რომელიც წაკითხულ იქნა მოსკოვში სესიაზე, როგორც თქვენი სამხილი, რომ თქვენ ვევერებოდით მოსკოვს, მიეღო ზომები და მოეშველებინა ჯარი?

რას იტყვით სობჩაკის წიგნთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით 9 აპრილის მთავარი დამნაშავე ხართ თქვენ. ეს იყო შეკვეთილი წიგნი თუ ობიექტური გასიძიების შედეგი? რით უარყოფთ სობჩაკის დასკვნებს?

13 რომელი ექცეოდით თქვენ გამსახურდია-დისიდენტს და როგორ მოგექცათ გამსახურდია-პრეზიდენტი თქვენ, ყოფილ მოწინააღმდეგეს? ხომ არ ფიქრობთ, რომ ეროვნული მოძრაობა, მიტინგებზე ყვირილის მიუხედავად, პრაქტიკულად, ერთობ ჰუმანურად მოიქცა ყოფილი მღვწელების მიმართ?

გქონდათ თუ არა კულუარული საუბრები ზ. გამსახურდიასთან?

14 შიშვარდნაძის დარბევების შემდეგ იყო თუ არა მცდელობა თქვენგან ან მისგან თქვენს ურთიერთობაში ყინულის გაღობისა. რატომ არ მოხდა ეს? თვლით თუ არა ერთმანეთს პირად მტრებად? სხვათაგან რა გაქვთ ერთმანეთთან დასაპირისპირებელი, თქვენ ხომ „ერთნაირი ბავშვობიდან“ მოდიხართ? ხოლო თუ გაქვთ განსხვავებული იდეოლოგიური თვალსაზრისი, რაში გამოიხატება ეს?

15 თქვენ ერთხელ პარლამენტში კითხვა დასვით გაცემული კრედიტების შესახებ. ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა. გთხოვთ ისაუბროთ იმ მექანიზმების შესახებ, რამაც საქართველოში მცირე პროცენტი ადამიანებისა უსაზღვროდ გაამდიდრა, მთელი ხალხი კი გააღატაკა.

16 თქვენი აზრი 29 აგვისტოს ტერაქტის შესახებ. საპრეზიდენტო არჩევნების დროს თქვენ ამ ტერაქტის მოსამზადებელი სამუშაოების მონაწილედ გამოაცხადეს. ეს, მართალია, არავინ დაიჯერა, მაგრამ ვილცამ ხომ მართლა მოახდინა აღნიშნული ტერაქტი? თქვენი აზრით, იგორ გიორგაძე შეიძლება თუ არა იყოს ამ ტერაქტების ორგანიზატორი? და თუ შეიძლება, ნორმალურ ქვეყანაში ამაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს თუ არა ის, ვინც გიორგაძე ძალით მოახვია პარლამენტს თავს ანუ პრეზიდენტი?

17 საპრეზიდენტო არჩევნებში ხშირად დარბაზში არ გიშვებდნენ იმ გამგებლების ბრძანებით, რომელნიც თავის დროზე თქვენ დანიშნეთ რაიკომის მდივნებად. ალბათ ბევრი რამ არის კურონოზულიც თქვენი ყოფილი ჩინოვნიკების თქვენდამი ამჟამინდელ დამოკიდებულებაში. ვისაც ჩააცვიოთ, ხომ არ გაგხადათ?

18 რით ახსნით იმას, რომ არჩევნებში „ზვიადისტების“ დიდმა ნაწილმა დაგეჭირათ მხარი. იყო თუ არა მოსკოვი ჩარეული კანდიდატების მხარდაჭერის საკითხში. პირადად თქვენ საზოგადოების ერთი ნაწილი გთვლიდათ მოსკოვისთვის სასურველ კანდიდატად. პრეზიდენტობის შემთხვევაში რით დაიწყებდით? საპრეზიდენტო არჩევნების თქვენეული შეფასება.

19 გვამშვიდობებ თუ არა რამე ამათ ხელში, გვეშველებოდა თუ არა რამე თქვენს ხელში? თქვენ ხომ ფაქტიურად საერთო კადრები გყავთ? თქვენი პროგნოზი აფხაზეთთან, სამახაბლოსთან მიმართებაში. თქვენი პროგნოზი ჩვენი ქვეყნის ახლო მომავლისადმი. დაბოლოს, როგორია ამჟამად თქვენი პირადი სულიერი და მატერიალური ყოფა?

ეკონომის სარკე

ქართული მწერლები და 1991 წლის 2 საქართველოს აქტია

ქვეყნდება პირველად

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №50,51,52,53,54,55,56,57

ზურაბ ჭუმბურიძე - ეს ტრაგედია შემზარავია. რას მოგესწარი, რა უბედურებამდე მივიდა ჩვენი ხალხი. მე არ მქონდა ამის იმედი, რომ აქამდე მივიდოდა ჩვენი ხალხი, შემზარავია ეს ბარიკადები, ქართველმა ქართველზე როგორ აღმართა ხელი. ეს 2 სექტემბერი რა შემზარავია. მოსკოვიდან გადმოცემებს ვინც უყურებს, იქ დაინახავდა, როგორ იყო ორგანიზებული, ნახევარი წუთის განმავლობაში იყო ეს ორგანიზებული და ერთბაშად წამოვიდა ხალხზე ეს ომონის ჯგუფი და როგორ დაუწყეს ცემა. ეს წინასწარ იყო ორგანიზებული, მაგრამ მე არ მინდა დავიჯერო, რომ პრეზიდენტი უშუალოდ იყო ჩარეული (ხმა - რატომ, რატომ?). მე არ მჯერა. (ხმა - ჩემი ყურით გავიგონე). (ადგილიდან - გიჟია) (დარბაზში საერთო ხმაური)...

ის რომ ორგანიზებული იყო, ეჭვი არ მეპარება. პრეზიდენტი მაინც დამნაშავეა, ეს მის გარეშე ხდება თუ არა. მაგრამ მაინც სხვა არის, როცა ის უშუალოდ იძლევა განკარგულებას. შეიძლება საკითხი იდგეს, მაგრამ ეხლა ჩვენ რასაც ვარკვეთ, რაც ბატონმა მუხრანმა ბრძანა - ეს ყველაფერი ჩვენ გამოვიტანოთ ხალხის წინაშე, ამას მე არ მოვალწერ ხელს და არ დაუჭერ მხარს. უნდა როგორმე შევრიგდეთ იმავე ოპოზიციასთან. იმავე ოპოზიციისაგან, საზოგადოებისაგან შეიკრიბოს ხალხი და მოიძებნოს შერიგების გზა. იქნება დავანებოთ თავი ამ მიტინგობანას და ამ შიმშილობას, რომელიც სამარცხვინოდ და სასაცილოდ იქცა.

მე უნივერსიტეტის თანამშრომელი ვარ და ვხედავ უნივერსიტეტის კიბეებზე სხედან ახალგაზრდები, რაღაც აქციას ატარებენ და კარტს თამაშობენ.

(ხმა დარბაზიდან - ჩემი შვილი იქ არის, შავნადახე არის ოთხი ათასი კაცი)...

(ხმა - მე ქალიშვილების პატრონი ვარ...) (საერთო ხმაური. ყველა ერთად ლაპარაკობს)...

იქნება შეიქმნას კომისია იმ ოპოზიციისაგან, პრეზიდენტისაგან, პარლამენტის წარმომადგენლებისგანაც. აქ გვეუბნებიან - მე რომ ხომ ტარიას მინისტრობის მომხრე არ ვიყავი, რატომ არ თქვითო. ეხლა მითხარით, ომანიძის მომხრე თუ ხართ?

საჭიროა მოხდეს შერიგება (ხმაური)...

ენვერ ნიშანბაძე - არსებობს სამი ვარიანტი. ავწონ-დავწონოთ. თუ ჩვენ მარტო მწერლების პოზიციიდან გამოვიდვართ, კი. მაგრამ თუ საერთო პოზიციიდან, სამი ვარიანტი: 1. არსებული ხელისუფლების დაპირისპირება, 2. შეიქმნას გარდამავალი ხელისუფლება. ვთქვათ, გაიმარჯვა ოპოზიციამ და მოვიდა ოპოზიცია (ხმა დარბაზიდან - ვერ მოვა ოპოზიცია)... თქვენ

სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო კრებისა 1991 წლის 12 სექტემბერი

თავმჯდომარეობს - მუხრან მაჭავარიანი

როგორ ფიქრობთ, ხუთუ ისე გულუბრყვილონი ვართ, რომ ეს ხელისუფლება ამას დათმობს და ისე წავა. უარესი მოხდება, ყოველდღე მიტინგობია იქნება და საქართველო დარჩება დაზიანებული.

და 3. წავიდა ისიც და ესეც და მოვიდა მესამე. თქვენ გჯერათ, რომ ყველანი ასე წავლენ და საქართველოში სიწყნარე იქნება? არ იქნება სიწყნარე.

უნდა დავმუწოთ პირი და უნდა შევრიგდეთ. რა არის ისეთი, რომ ვერ შევრიგდეთ (იხა ორჯონიკიძე - მართალია, მაგრამ ნაბიჯი უნდა გადავგას ხელისუფლებამ). აქ ითქვა ძალიან კარგად ყველაფერი, მაგრამ სად გაგონილია, გარდაუვალია სამოქალაქო ომი. საქმე არის ძალიან რთულია. უნდა მოვიფიქროთ რაღაც მექანიზმი, ვაგვივრეთ ხერხეში და შევარიგოთ. შავნაბადახეც ავიდეთ.

ზ. ჭუმბურიძე - დროებით შევწყვიტოთ ლანძღვა-გინება, თორემ ჩვენ ჩვენს სამშობლოს დავლეუპავთ და ამას არავინ გვაპატიებს.

ენ. ნიშანბაძე - სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს. თუ ასე არაფერი არ გამოდის, მაშინ უნდა წავიდეთ. ეს არის ყველაზე რეალისტური მოსაზრება (ხმა დარბაზიდან - შევადგინოთ ჯგუფი, რომელიც ჩაუდგება სათავეში ამას. ვუყაროთ ამ წინადადებას კენჭი).

მ. მაჭავარიანი - მე რა წინადადებაც წამოვაყენე. ჯერ იმას ვუყაროთ კენჭი და შემდეგ იმას, რაც ენვერმა წამოაყენა (ხმა - არ გამოიციხავს ერთმანეთს).

რაც აქ ვილაპარაკეთ, ჩვენ უნდა მოვიყვანოთ სისტემაში და გავაცნოთ ორივე მხარეს... ამას მოვიყვანთ სისტემაში. რა თქმა უნდა, დაიხვეწება

სტილისტურად და გამოქვეყნდება. ვინ არის ამ წინადადების მომხრე? უმრავლესობა. მაშ არის წინადადება შეიქმნას მწერლობისაგან დეპუტაცია (ხმა - დეპუტაციას ოპოზიცია არ მოუსმენს... ხმაური).

(ადგილიდან - ერთი ათი კაცი ავირჩიოთ... ხმაური)... რაკილა სადავო გახდა დეპუტაციის საკითხი, მაშინ მზია ხეთაგურმა რომ წამოაყენა წინადადება... (ხმა - არ გამოვა... ხმაური).

ჩვენ ამას მოვიყვანთ სისტემაში. ამას დრო დასჭირდება და ცნობა მივცეთ გაზეთში.

(ხმა - დეპუტაციამ უნდა შესძლოს შერიგება, უნდა იყოს ჯგუფი, რომელიც იკისრებს შერიგებას, შემრიგებლის როლს)...

წარმოიდგინეთ თქვენი თავი ზვიად გამსახურდიას ადგილზე არ შეიძლება მოისმინოს ის, რაც აქ იყო ნათქვამი და ამან არ მოახდინოს გავლენა მასზე. დეპუტაციას ჰქონდეს მაგნიტოფონი, წავიღოთ ფირი და მოვასმენინოთ. მაშ, ეს დეპუტაცია ავირჩიოთ.

(მიმდინარეობს დასახელება) (დასახელებენ ყველანი ერთად, ჩაწერა შეუძლებელია)

კრებამ აირჩია ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ ფანჯიკიძე, ტარიელ ჭანტურია, იორამ ქემერტელიძე, თამაზ წიფვიძე, ნოდარ გრიგალაშვილი, მზია ხეთაგური (შესადგმოა ვინმე გამოგვრჩაკიდეც, მათთან ბოდიშს ვიხდით, რადგან დიდი დრო გავიდა და ეს ოქმიც მხოლოდ ამდენი ხნის შემდეგ გამოქვეყნდა, რედ.).

P.S. კრება ამით არ დასრულებულა, არჩეულ იქნა მწერლებისაგან შემდგარი დეპუტაცია, რომელიც უნდა სწავლიდა ჯერ ოპოზიციას, შემდეგ პრეზიდენტს შერიგებისა და სამოქალაქო ომის თავიდან აცილების მიზნით.

P.S.S. დეპუტაცია ეწვია როგორც ოპოზიციას, ისე საქართველოს პრეზიდენტს. ცდა რომ ამაო გამოდგა, შემდგომი მოვლენების მცოდნე მკითხველი ისედაც მიხვდება.

საქართველო
საშიში,
საშიში
სიტყვა
ოპოზიცია

დასავლეთის
ქვეყნები და
პოლიტიკური
ოპოზიცია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი „საქართველო“ №55, 56, 57

„მორეაქციონისტ“ ოპოზიციურმა პარტიებმა დღის წესრიგში დააყენეს თვისობრივად სხვა პრობლემები და გახდნენ ოპოზიციის, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის ფუნქციონირების მეთოდების განახლების კატალიზატორები. ბევრი მათგანი განსახიერებს თანამედროვე ტიპის ორგანიზაციას და მთელი რიგი პარამეტრებით მიიხეობს პოლიტიკური სიხე და სტილი, სხვა პარტიებთან დამოკიდებულება, ელექტორატთან ურთიერთობის მეთოდები არსებითად განსხვავდებიან ტრადიციული ოპოზიციისგან. ამ ოპოზიციურ პარტიებს მთავარი აქცენტი გადააქცეოდა პოლიტიკური აქტიურობის არაპარლამენტურ ფორმებზე. ზოგი მათგანი თავის წინაშე საერთოდ არ აყენებს კოალიციურ მთავრობაში შესვლის ამოცანას, უპირატესობას აძლევს ხელისუფლების სტრუქტურებისგან შორს ყოფნას, რათა სარგებლობდეს თავისუფალი პოლიტიკური მანევრებით: გააკრიტიკოს მინისტრთა კაბინეტის ერთი დონისძიება და დაიცვას სხვა ყოველ გარემოების ფედერაციული რესპუბლიკაში. დიდ ბრიტანეთში და საფრანგეთში ახალი პარტიები და სოციალური მოძრაობები პოლიტიკურ ცხოვრებაში გადაიქცნენ მწიშნულად დამოკიდებულ ფაქტორად. იტალიაში და ნიდერლანდებში კი პირიქით - ასე არ მოხდა, თუმცა, მემარცხენე პარტიების და მოძრაობების მთელი რიგი იდეები და პროგრამული დებულებები აღებულია „ძველი“ ოპოზიციური პარტიების შეიარაღებაში. ამასთან ერთად საგრძნობლად გავლენა მოახდინეს მათ ტრადიციული ოპოზიციის საქმიანობაზე და ქვედი რიგი მოხიარულს პრინციპული ქვეყნების - კონსენსუსის მიღწევას და მთავრობასთან აქტიური ურთიერთობის მეთოდების ორიენტაციის წინაშე.

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში (სკანდინავიის ქვეყნების გამოკლებით) მკორე ოპოზიციურ პარტიებს არა აქვთ შესაძლებლობა სათანადო ზეგავლენა მოახდინონ კანონთა შემუშავების და მიღების მექანიზმზე. ხშირად მათი დეპუტატები - მაგალითად, ყოფილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „შპვანგები“, თავისი პარტიული ფრაქციის რაოდენობასთან შეფარდებით არაპროპორციულად იყენებენ წარმოდგენილნი პარლამენტის ძირითად კომიტეტებში და კომისიებში. მათ შედარებით ნაკლები შანსი ჰქონდათ სათანადო დონეზე გამოეჩინათ თავიანთი თავი.

ეს წინააღმდეგობა უფრო საგრძნობლად და დამახასიათებელი დიდი ბრიტანეთისთვის, სადაც საარჩევნო სისტემა ფრიად არაადექვატურად ასახავს საზოგადოებაში გამოყვანილებულ პოლიტიკურ ძალთა განაწილებას. მოუხედავად ოპოზიციის პარტიულ-პოლიტიკური ჭრელი სექტორისა, თუმცა პალატაში საარჩევნო მექანიზმის გაფართოების და მისი ფუნქციონირების პროცედურა კვლავც წამყვან ოპოზიციურ პარტიებს აძლევს აშკარა უპირატესობას. მაგალითად 1992 წელს საპარლამენტო არჩევნებისას ლიბერალმა დემოკრატებმა, რომლებმაც მოიპოვეს ამომრჩეველთა 17,9%-ის მხარდაჭერა, მიიღეს მხოლოდ 20 სადეპუტატო მანდატი, მაშინ როცა დემოკრატებმა, რომლებსაც ხმა მისცა ბრიტანეთის ამომრჩეველთა 34,5%-მა, თუმცა პალატაში მოიპოვეს 271 ადგილი კონსერვატული და დემოკრატებისა.

გამოსაშვრება წერილზე:
 «პირველი აღვოკატი - რა უნდა გელაპარაკო,
 მილიციონერი იყავი...
 მეორე აღვოკატი - შენ კი მათხოვარი იყავი და
 მათხოვრად დარჩი»...

მეხუთე გვერდიდან

ვიღს ჰქონდა მუცელში სისხლის ჩაქცევა, თირკმლის გახეთქვა და გონების დაკარგვა. „ნაშკა“ ამ დიაგნოზით მანქანითაც სეირნობდა, რესტორანშიც დადიოდა და ჩვენებებსაც იძლეოდა...
 სიტყვით გამოსულმა ბ-ნებმა: თხოზაძემ, ზ.ჩოხელმა, ი.გვაზავამ, ზ.ბარათაშვილმა, თნემსაძემ, ვაჭაძემ აღნიშნეს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები არ შეეფერება სინამდვილეს, იგი არის როგორც პიროვნების, ასევე საავადმყოფოს შრომითი კოლექტივის შეურაცხველი. მათ მიერ გამოთქვნილი აზრი - გაზეთ „საქართველო“-ს რედაქციის სახელზე დაიწეროს საპროტესტო წერილი ზომების მისაღებად. გაზეთის უახლოეს ნომერში საპასუხო წერილი, რედაქციისა

და კორესპონდენტის ბოდიშის მოხდით. წინააღმდეგ შემთხვევაში სარჩელი გადაეცეს კონსტიტუციურ სასამართლოს.
 დირექტორთა საბჭოს სხდომაზე გადაწყვიტა: გაზეთ „საქართველო“-ს რედაქციას გაეგზავნოს საპროტესტო წერილი ზომების მისაღებად. გაზეთის უახლოეს ნომერში გამოქვეყნდეს საპასუხო წერილი, რედაქციისა და კორესპონდენტის ბოდიშის მოხდით. წინააღმდეგ შემთხვევაში სარჩელი გადაეცეს კონსტიტუციურ სასამართლოს.
 თქმს ხელს აწერს სხდომის მონაწილეები:
 ა.ჭილაძე, ზ.ბარათაშვილი, თ.ნემსაძე, ვ.ვაჭაძე, თ.ნოზაძე, ი.გვაზავა, კ.გოგინია, მ.მშვილდაძე, ა.ჩიჩუა, ზ.ჩოხელი.

შეხვედრება, თუ?..

ბატონო ნოდარ, როდესაც გაზეთ „კრიმინალის“ №20-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული მცოდარი, შეუსწავლელი ინფორმაცია წავიკითხეთ, გაოცებული დავრჩი, საიდან გაჩნდა „კრიმინალის“ გვერდებში „საქართველოს“ გვერდები?
 დიდი ფიქრის შემდეგ კოლეგებმა ვთქვით, რომ, ალბათ, შემთხვევით მოხდა, მითუმეტეს, რომ დღეს გაზეთების ამ ბუმში რას არ შეხვდებით.
 როგორც ბოლოს გამოირკვა, თურმე ნუ იტყვით და „კრიმინალის“ ჟურნალისტებს ასე ჰქონიათ შემოღებული, რომ შუა გვერდებს აწერია: საქართველო, რასაც უთუოდ შეცდომაში შეჰყავს მკითხველი. თქვენ რას დაგემდურთ, როცა „კრიმინალისტე-

ბი“ ყოფილან დამნაშავენი.
 ბატონო ნოდარ, ამ და მსგავსი ფაქტების თავიდან ასაცილებლად, ხომ არ ავლობებდა კოლეგისათვის გერჩიათ, რომ საქართველოს ნაცვლად დაიწეროს: „ცნობები საქართველოდან“, ან „ახალი ამბები“, ან უკეთ - „სამწუხარო ინფორმაციები“ - რადგანაც აქ მხოლოდ ჭორიობა-მკვლევობაზე, ე.ი. დანაშაულებრივ ფაქტებზე ქვეყნდება წერილები და რომელი იქნება სასიხარულო?!
 წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მკითხველს მხოლოდ გაზეთის შიდა გვერდები ჩაუვარდა ხელთ, იგი გაზეთი „საქართველო“ ჰგონია. რატომ უნდა გაგნაწყენდეთ თქვენს გაზეთზე სხვის გამო?
 კატივიტი-
 დოლო ზურაბიშვილი

კაიფვორდი

თარაზულად 5. ქაღაჩი, სადაც ხუთი ნომრით დიდი ფეხსაცმლის ძირებს აკერებდნენ. 7. ფაფების მოყვარული ოკეანის ტუტემწვარი. 9. რაც არ უნდა წაუკითხო, მაინც ტყისკენ გაურბის თვალი. 12. საცოლის და სასიმამროს შესასყიდი თანხა. 13. გამკლი მზერის მქონე ფიზიკოსი. 14. „ზაგრამანინი“ ჩემოდანი. 15. მხიარულ განწყობაზე მყოფი რუსი კინოსახიობი. 17. უპასუხისმგებლო დასაკიდებელი მუსიკალური ინსტრუმენტი. 19. ბავიურზე (ტროსზე) გამოზომული ზღვის ფრინველი, რომელიც უკანასკნელ რეისს ასრულებდა. 22. იატაკის ლუდი. 23. უჩიოარი, ურცხვი. 26. ცხოველი, რომელიც ისე დასირდა, რომ ფრინველად გადაიქცა. 27. „ხე“ ადამიანი. 28. ნაგებობა, სადაც გოგას მათუილით აბაქენ. 30. ქალის გასაკეთებელი ნედლეული. 31. „ტრანზიტი“ სასმელი. 32. რევოლუციური „ინკუბატორი“.
 შვეულად 1. კუდის გასადები ადგილი. 2. პაეროვანი ქალის სახელი. 3. მაგარი ჩხუბი. 4. ევარმიცემული ღორი. 6. ბეწვეულის მტერი პოლიტიკოსი. 7. ზღვის ურხულთან მებრძოლი კომისარი. 8. ფიზიკოსი, რომელმაც არაფერი არ აღმოაჩინა. 10. სიფათის უოპერაციოდ შეცვლის სპეციალისტი. 11. უფროსობასთან მისასვლელი „რკინის“ ფეხსაცმელი. 16. ცნობილ მეზღვაურ პაპის დომინი. 17. ის, ვინც ორჯერ აკაკუნებს. 18. „სინიზე“ გრძელი ტელევიზორი. 20. საავტომობილო საიდუმლოება ქურდებისათვის. 21. მცენარის არითმეტიკული ნაწილი. 24. მუსიკალური ნიჭის მქონე ქვეყარმავალი. 25. „მალინასთან“ ახლოს მდგომი სტაინის ეპოქის პოლიტიკოსი. 29. უკანმოუხედავი გაქცევა.

კომპიუტერული ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, ვთავაზობთ ჟურნალ-გაზეთების, წიგნების, საფიზიკო ბარათების, ნებისმიერი სახის საქმიანი ქაღალდებისა და სხვა სახის ბუჭვითი პროდუქციის უშოკლეს ვადებში მომზადებას (სწრაფ-დაკაბადონება ნებისმიერ ენაზე).
 ვაკავს ავტონომიური დენის წყარო.
 მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. ჩვენი ტელეფონია:
 93-19-99 (10-დან 19 საათამდე) ვაშაობთ ყოველდღე,
 გარდა კვირისა.

კროსვორდი „ჭაღილა“

თარაზულად 3. მხატვრული ნაწარმოები ლექსად; 5. ქართული გაზეთი; 8. ვარდენის უდიდესი სასიძო; 9. ზოგი სიტყვის დაბოლოება, რომელიც აღნიშნავს მართვას, მმართველობას; 11. სინათლის სიკაშკაშის ერთეული; 14. სახელმწიფო ჩრდილო ამერიკის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში; 16. მტრის ცოცხალი ძალის დასაზიანებელი საარტილერიო ჭურჭი; 17. პაქობა, კამათი; 18. უარყოფითი პასუხი; 19. შტატი ამერიკაში; 20. უკრაინის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერი (XX საუკ. დასაწყისი); 24. დიეგო მარადონას ძმა; 26. ქართველი ტელეჟურნალისტი, რომელმაც ოფიციალურად აღბეჭდა ფიზე სოფ. ჯიხაშკარიდან პრეზიდენტ ზგამსახურდიას ნეშტის გადასვენება 1994 წლის 17 თებერვლს; 30. პერანგის მავა; 31. პრაიკოვსკის ოპერა; 32. მცენარე; 33. ყოფილი ოუგოსლავიის დაშლის ერთ-ერთი „პროდუქტი“; 35. ყოველგვარ „ამქვეყნიურ სიამოვნებათა“ უარყოფელი; 37. ნახევარკუნძული ადრიატიკის ზღვაში (ნაკლებად ცნობილი სახელწოდება); 38. ტყავი სამხედრო ან სამეუშაო ფეხსაცმლისათვის, ჩექმებისათვის და სხვა.
 შვეულად 1. გაბატონებული კლასის ნაწილი ფეოდალურ ჩინოში წოდება გაუქმდა 1949 წელს; 2. კონცა დორბლიანი ტუჩებით; 3. მსუბუქი შენობა; 4. რუმინელი დიქტატორი; 5. განუხორციელებელი იდეალებისათვის მებრძოლი მეთვლებე ადამიანი; 6. პერსონაჟი ფილმისა „ადამიანი-ამფობია“; 7. თამაში ფირფიტებით; 10. ხეშეში, უხეში; 12. საშუალო სიციფესა და სიცხეს შორის; 13. გათხოვილი ქალის ხსენება ზოგ ქვეყანაში; 15. წყალქვეშ მომუშავე; 16. საოქრომკვდილო ნაკეთობა; 21. თვალები, რომელთა გუგები ერთსა და იმავე მხარეს არ არის მიმართული; 22. გიტარის მიერ განდევნილი საკრავი; 23. ლგოთუას ნაწარმოები; 24. წყალმცენარე; 25. კაფეს რესტორნის მოსამსახურე; 27. მოკლე, ოფიციალური ცნობა; 28. ხმის გამოცემით, ძნელად სუნთქვა; 29. ქედანი საჭმელი სოკო; 34. პაკისტანის პოლიტიკური მოღვაწე; 36. მარცხი.
 ბიორბი ბასიტაშვილი

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად 3. ჭედილა; 5. ბრძოლა; 7. ბაცილა; 8. გოუნზე; 9. კაშია; 11. იმედი; 15. ჩუბაილი; 17. შლიახტა; 19. კორდე; 22. ადათი; 23. ჩხვიდი; 25. ბრიალი; 29. ლინკოლნი; 30. „იტალიანა“; 33. ხვინა; 34. დიდრო; 35. მანია.
 შვეულად 1. „მზეჭაბუკი“; 2. ფილატელია; 4. ლოლუა; 6. რეიდი; 10. „შაპი“; 12. კუფი; 13. „ჩიფთენი“; 14. უშაფათი; 16. ბრუკი; 18. ხატია; 20. ავერსი; 21. შიბაქი; 24. ხარკი; 26. ლოცია; 27. პლასტიკი; 28. ზარანდი; 31. გვალვა; 32. მიღუეი.